

სწავლის საფასური

1. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახადით, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.
2. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
3. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სემესტრული საფასური განისაზღვრება მოცემულ სპეციალობაზე ინდივიდუალური ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით;
4. კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ არადაამაკმაყოფილებელი შეფასების (Fx, F) მიღებისას, სტუდენტმა ხელახლა უნდა გაიაროს აღნიშნული კურსი (მხოლოდ სავალდებულო დისციპლინა) და გადაიხადოს თანხა ამ კურსისათვის მინიჭებული კრედიტების ოდენობის შესაბამისად; არჩევითი შეიძლება, ჩანაცვლდეს სხვა დისციპლინით.
5. ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები გაწერილია აკადემიურ კალენდარში. გამონაკლისის სახით შესაძლებელია ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შემუშავებაც, ფინასურ სამსახურთან შეთანხმებით. ასეთ დროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, აკადემიური რეგისტრაციის ფარგლებში შესაძლოა დასრულდეს სწავლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის შემთხვევაშიც სტუდენტის სასწავლო პროცესზე დაშვების მიზნებისათვის;
6. ადმინისტრაციული რეგისტრაციით დადგენილი ვადების დარღვევა და სწავლის საფასურის გადაუხდელობა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია.